# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · ორშაბათი, 16 მარტი · 1998 №38 (573) · ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 16 ტური

ლოკომოტივი 0:1 ტორპედო
თსუ 0:2 კოლხეთი
გურია 1:1 მერანი
რუსთავი 0:1 დინამო
სამგურალი 0:0 დილა
მორკინალი 0:0 მარგვეთი
მალაროელი 1:3 ოდიში
სიონი 1:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 13 | 2 | 1 | 41:6 | 36 |
| ოდიში | 16 | 11 | 1 | 4 | 26:22 | 34 |
| ბათუმი | 16 | 9 | 5 | 2 | 30:11 | 32 |
| კოლხეთი | 16 | 8 | 3 | 5 | 33:16 | 27 |
| ტორპედო | 16 | 7 | 6 | 3 | 25:16 | 27 |
| თსუ | 16 | 7 | 4 | 5 | 21:13 | 25 |
| მორკინალი | 16 | 5 | 7 | 4 | 17:13 | 22 |
| მერანი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:18 | 20 |
| დილა | 16 | 6 | 2 | 8 | 15:23 | 20 |
| ლოკომოტივი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:24 | 20 |
| სიონი | 16 | 5 | 5 | 6 | 25:19 | 15 |
| რუსთავი | 16 | 5 | 0 | 11 | 15:30 | 15 |
| სამგურალი | 16 | 4 | 3 | 9 | 17:32 | 15 |
| გურია | 16 | 3 | 5 | 8 | 19:31 | 14 |
| მალაროელი | 16 | 3 | 2 | 11 | 13:36 | 11 |
| მარგვეთი | 16 | 1 | 4 | 11 | 12:38 | 7 |

დანარჩენი მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე



შაბათს რუსთავში: „რუსთავი" — „დინამო". ვალტერ გუჩუამ (მარჯვნივ) ჯუმბერ ჩუხუას ფეხდაფეხ სდია

გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

ბოლნისი
„თამაზ სტეფანია"
14 მარტი

**სიონი 1:0 ბათუმი**

**სიონი:** დალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, კ. ნიკლაური, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (ფოფხაძე 65), ტყავაძე, ჯაგიდისი (თვალაბეიშვილი 88), ლ. გაგუა
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, აფხაზავა, სოლოღაშვილი, კანტიძე, ზირაქიშვილი
1:0 ჩომახიძე (88)
**გაფრთხილება:** მ. მახარაძე, კანტიძე, ჯაგიდისი
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

# ალა მეთორმეტე

მართლაც ყოვლისშემძლე ყოფილა ბოლნური ჯვარი. აბა, სხვას რას მივაწეროთ სიონელთა გამარჯვება. ის, რაც ბოლნისში მოხდა, არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. ორი დღის ნავარჯიშევ-შეკრებილი გუნდი კარგად მომზადებულ და გაცილებით მაღალი კლასის „ბათუმს" ვერ უნდა უგებდეს. „სიონმა" მაინც მოიგო და გამარჯვებაში უკანასკნელი ჯიგარი ჩააქსოვა. მასპინძლებმა მინდორზე ყველაფერი გაილეს. ეს თავგანწირვას უფრო ჰგავდა. სტუმრები მთელი თამაშის მანძილზე ამაოდ ელოდნენ ბოლნისელთა დაღლას. პირველ ტაიმში რომ არაფერი გაუვიდათ, მეორის იმედად დარჩნენ — ათი წუთიც და ბოლნისელები სათითაოდ დავარდებიანო. გაცილებით მეტიც გავიდა, მაგრამ „სიონმა" მაშინ მოუმატა, როცა არავინ ელოდა.

მასპინძელთა გამარჯვება მათმა მეთორმეტე მოთამაშედ აღიარებულმა, ბოლნისელი გულშემატკივრების ლიდერმა ალამაც განაპირობა. ალას ყველა იცნობს. მის მიერ დარაზმული მაყურებელი წუთითაც არ ჩერდება. მათი შეძახილებით გამხნევებული გუნდი კი სასწაულებს სჩადის. თამაშის წინ ალა ადგილობრივი პოლიციის ერთ-ერთ შეფთან მივიდა და ეუბნება, დღეს განსაკუთრებულად უნდა ვიყვიროთ და საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათო. როცა დადებითი პასუხი მიიღო, საქმეს შეუდგა. შედეგად „სიონმა" ჩემპიონობის ერთ-ერთ მაძიებელთან გამარჯვება მიითვალა.

არადა, „ბათუმი" 65 წუთის განმავლობაში შესამჩნევ უპირატესობას ფლობდა. ერთი ორჯერ სახიფათოდაც/დაარტყეს, მაგრამ დალაქიშვილი უშეცდომოდ იდგა. მერე და მერე სტუმრებმა მარწუხებს მოუჭირეს. მეორე ტაიმში იყო ათწუთიანი მონაკვეთი, როცა „სიონი" საკუთარ საჯარიმოსაც მიეჯაჭვა. ბურთი ვერაფრით ამოჰქონდათ. ბევრი ასეთ შემოტევას ვერ გაუძლებდა. სწორედ ამ დროს ილო ყურად ანზორ გძელიძემ ხალხის მოთხოვნა, მოედანზე ფოფხაძე შეუშვიო. ცვლილებამ „სიონს" დამატებითი ძალები შთაბერა. ფოფხაძის შემოსვლა და სახიფათო მომენტის შექმნა ერთი იყო. ტოგონიძემ ივარგა.

ახალშემოსულმა ნახევარდაცვა ჩაიბარა. ამით მანამდე სამუშაომოძალებულ ტყავაძეს ხელ-ფეხი გაეხსნა და სტუმართა კართან ხიფათმა იმატა. ტარტარაშვილს თავური მეკარემ აულო, შაკიაშვილის მსგავსად დარტყმული სოლოღაშვილმა თავითვე გამოიტანა ცარიელი კარიდან. მერე ჯაგიდისმა და სამხარაძემ ააცილეს მცირედით. დრო იწურებოდა. „ბათუმს" კი გამარჯვების სურვილი კლავდა და მცველებმაც კი დაიწყეს შეტევა. სწორედ ეს იყო მათი ერთ-ერთი შეცდომა. სტუმრები კონტრშეტევას წამოეგნენ, მაგრამ მანამდე ზირაქიშვილს შეეძლო ყველაფერი დაემთავრებინა. მან მცველი ოსტატურად ჩამოიშორა, მეკარესაც აულებელი დაურტყა, მაგრამ ბოლნისელებს მარჯვენა ძელმა უშველათ.

და დადგა 82-ე წუთი. ჩომახიძემ საკუთარ საჯარიმოსთან ჩაჭრა ბათუმელთა გადაცემა და წინ გაიჭრა. მოედნის შუახაზს მიახლოებულმა გაგუას უპასა. სტუმრები ხელოვნურ თამაშგარეს ქმნიდნენ, მაგრამ გვერდითი დოლიძე თამაშის გაგრძელებას ითხოვს. უკვე დაღლილი გაგუა ბოლო ძალებს იკრებს და ტოგონიძესთან პირისპირ შედის. თავდამსხმელი წამით შეცბა. მის წინ ხომ ეროვნული ნაკრების მეკარე იდგა. ახალბედამ საუკეთესო ვარიანტი ირჩია. წამოწეულ ჩომახიძეს მისცა პასი და ბურთი ცარიელ კარში შეგორდა. მაშინ აირია ყველაფერი.

ბათუმელი ფეხბურთელები ზურაბ დოლიძეს მისცვივდნენ. თამაშგარეს დაფიქსირებას ითხოვდნენ, მაგრამ აღშფოთება ფუჭი გამოდგა. გუნთაძემ გოლი ჩათვალა.

იყო თუ არა გაგუა თამაშგარეთ?

ამის ხელაღებით მტკიცება ვერავინ შეძლო. ვერც მე დავიჩემებ, მაინცდამაინც მსაჯი ტყუოდა-მეთქი, რადგან ჩომახიძის პასის მომენტში საპირისპირო მხარეს ბათუმელთა მეოთხე ნომერი მეტად საეჭვო ადგილზე იდგა. თამაშის მერე ბათუმელთა გუნდის ოპერატორს ვთხოვე ვიდეოკასეტა გადაეხვია და სადავო მომენტი ეჩვენებინა. უარი არ უთქვამს და ჩანაწერიც ვნახე, მაგრამ ოპერატორს მხოლოდ ის ვიწრო ზოლი გადაეღო, სადაც ბურთი ტრიალებდა. სხვა არაფერი ჩანს. ამიტომ ამ ფაქტის საბოლოო კომენტარი უფრო კომპეტენტური კომისიისთვის მიგვინდვია, ფეხბურთის ფედერაციაში რომ შეიქმნება და ფირს ნახავს.

თამაშის მერე ოთარ გუნთაძე იტყვის, სადავო მომენტს გვერდითი მსაჯი სრულიად აკონტროლებდა და რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთო. მოკლედ, ასე იყო თუ სხვაგვარად, გოლი ჩაითვალა და „ბათუმმა" ანგარიშის გაქვითვა მოინდომა. შეეძლოთ კიდეც, მაგრამ კანტიძის ჯარიმა ისევ მარჯვენა ძელმა მოიგერია, მახარაძეს და მინდაძეს მეკარემ აულო.

„სიონს" ანგარიშის გაზრდაც ძალუძდა, როცა ფოფხაძემ ტყავაძე ტოგონიძესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მეკარემ აჯობა.

ბოლოს ერთიც დამრჩა გაურკვეველი — ჰყავდა თუ არა ანზორ გრძელიძეს თავისი ფეხბურთელები ბოლნურ სიონის ტაძარში, რადგან, ჩემი აზრით, ის, რაც „სიონმა" მოახერხა, იქაურების ძალებს აშკარად აღემატება.

რუსთავი
„ფოლადი"
14 მარტი

**რუსთავი 0:1 დინამო**

**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, ზ. გვაზავა, კუდინოვი, არზიანი, ზირაქაძე, ცომაია, ფეზუაშვილი, მელაძე (პატარიძე 75), ყიფიანი, ჩუხუა
**დინამო:** გ. ქანტურია, ლობჟანიძე, გელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გუჩუა (ჯელაძე 88), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი (ბურდული 89), ხომერიკი (წიტაიშვილი 74)
0:1 აშვეთია (29)
ცქიტიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (71)
**გაფრთხილება:** ზირაქაძე, ლობჟანიძე, ჩუხუა, გუჩუა
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან**

# ნუ დაუნიშნავთ პენალტს!

საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა ზამთრის არდადეგები მცირედი ცვლილებებით გალია. სამაგიეროდ, თითქმის მთლიანად შეიცვალა რუსთავის საფეხბურთო კლუბი, რომელიც ახლა ქალაქის სახელს ატარებს. სახელის შეცვლასთან ერთად კლუბში სხვაც ბევრი რამ შეიცვალა — ახალია მწვრთნელი — გაიოზ დარსაძე, პრეზიდენტი — გოგა ქვანია, მოვიდნენ ახალი ფეხბურთელები, თუმცა ზოგ მათგანს კარგად და დიდი ხანია იცნობს ჩვენებური გულშემატკივარი — დიმიტრი კუდინოვი, დავით ცომაია, მალხაზ არზიანი... ცხადია, არიან ახალბედებიც, ასე რომ, „რუსთავში" მართლაც ბევრი რამ შეიცვალა... გარდა მოედნისა, რომლის საფარზეც მინდორი პირობითად თუ ითქმის. მაყურებლებმაც არ გააწბილეს ფეხბურთელები და საკმაოდაც მოგროვდნენ ოდესღაც თითქმის ტოლ-სწორი მეტოქეების საცქერლად. თამაშიც, ჩვენი პირველობის კვალობაზე, საკმაოდ საინტერესო საყურებელი გამოდგა. პირველი წრის მერე მეთერთმეტე გუნდმა „რუსთავმა" „დინამოს" ბევრი არაფერი დაუთმო.

თამაში საკმაოდ ხისტად და უხეშადაც კი დაიწყო, ამიტომაც მსაჯ ლაცაბიძეს თავიდანვე დასჭირდა სიმკაცრის ანუ თითო-თითო ყვითელი ბარათის გამოჩენა, რამაც მეტოქენი ასე თუ ისე დააწყნარა. დასაწყისში უპირატესობა გარდამავალი იყო, სტუმარ-მასპინძლები მორიგეობით უტევდნენ, ეგაა, რუსთაველთა თითქმის მთლიანად შეცვლილი დაცვა ხშირად სცოდავდა. განსაკუთრებით ეს ლიბერო გვაზავაზე ითქმის, მაგრამ მის წინ ხომ კუდინოვი მოქმედებდა და საკმაოდ კარგადაც. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა მე-17 წუთისთვის: დაცვამ ვერ შეძლო ხელი შეეშალა ხომერიკისთვის, რომლის ძლიერი დარტყმა ხარიხამ აისხლიტა. რუსთაველებმა ამას კონტრშეტევით უპასუხეს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, მერე კი სულაც რამდენადმე მოეშვნენ და „დინამოსაც" მეტი რა უნდოდა: 29-ე წუთზე ბურთი მიუვიდა რუსთაველთა კარიდან მარცხნივ 10 მეტრის მოშორებით მყოფ აშვეთიას, რომელმაც საპირისპირო კუთხეში ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. მასპინძლები გოლმა გამოაფხიზლა და თამაშის ცენტრიდან განახლებისთანავე მიეძალნენ დინამოელთა საჯარიმოს. გია ყიფიანმა, რომელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, საჯარიმოში კარგად მიაწოდა რუსთაველთა ეულ თავდამსხმელ ჯუბა ჩუხუას, ამანაც კარგად მოატყუა დინამოელი გელაძე და სარტყმელ პოზიციაზეც გავიდა, მაგრამ კარიდან გამოვარდნილი ქანტურიას მოტყუებაც განიზრახა და მეკარეს ფეხებში ჩავარდნის საშუალება მისცა. პირველი ნახევარი დაამთავრა და მეორე დაიწყო დინამოელი აშვეთიას დარტყმებმა, რომლებსაც ქორიძე ადგილზე დახვდა. აქვე ვთქვათ, რომ ქორიძე მთელი მატჩი მშვენივრად ირჯებოდა ხაზზეც და გამოსვლაზეც. აშვეთიას ერთადერთი გოლი დაცვის სინდისზე უფროა. აქტიურობდა აშვეთია, რომლის წაქცევისთვის სახიფათო ჯარიმაც დაინიშნა და პენალტიც. ორივე ცქიტიშვილმა დაარტყა. ჯარიმისას ბურთი ოდნავ ასცდა რუსთაველთა კარს, პენალტისას კი ქორიძემ ივარგა. ამ ორ ეპიზოდს შორის კი იყო... ცნობილი ვაგზლელი ირმას „სოლო რეიდი" — იგი ჯერ ტრიბუნაზე შეფენილ ხალხს მიესალმა, მერე კი მარჯვენა ფლანგიდან გაიჭრა პირდაპირ ქორიძის კარისკენ. სანამ პოლიცია მომხდურს მოედნიდან გაიყვანდა, თამაში დროებით შეწყდა. მერე ის იყო, რომ ორივე გუნდს დაღლა დაეტყო და დროც შეცვლებში გაილია.

პრესკონფერენციაზე ყიფიანი მიესალმა რუსთაველთა აღმასვლას: იმედია, „რუსთავი" კიდევ უფრო მოძლიერდებაო. მან ისიც აღნიშნა, რომ მის შეგირდებს უკვე მეორე თამაშია პენალტი ვერ გააქვთ. გაიოზ დარსაძემ კი კითხვაზე, ეხმარება თუ არა მას ქალაქის ხელმძღვანელობა, ეს თქვა, ერთი თვეა, რაც გუნდის სათავეში ვარ და ერთადერთი, ვისი დახმარებაც ვიგრძენი, გუნდის პატრონი გოგა ქვანიაა, ქალაქის უფროსობამ კი ჯერ ჩემი გაცნობისთვის ვერ მოიცალაო.

მცხეთა
„არმაზი"
14 მარტი

**თსუ 0:2 კოლხეთი**

**თსუ:** დოლიძე, ყოლბაია, ვერემჩუკი, კვიტატიანი, სვანიძე (გ. გვაზავა 67), შალამბერიძე, გემეზაშვილი, მაზიაშვილი (კობესაშვილი 75), რუსია, კ. მელქაძე, გ. ქორიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე (ღალანიძე 70), ტორჩინავა, გიორგაძე, გიორგობიანი, ჩხენკელი, ნოზაძე (დ. მახარაძე 75), ქუტიძე (გოროზია 65), სუხიაშვილი, წივწივაძე, ქობულაძე
0:1 მიქაბერიძე (18), 0:2 წივწივაძე (80)
**გაფრთხილება:** ვერემჩუკი, კვიტატიანი, რუსია, ქვაჩახია, გიორგობიანი, ჩხენკელი, სუხიაშვილი
**გაძევება:** ქობულაძე (80)
**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

# კოლხური ლექცია მცხეთაში

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

„კოლხეთის" მწვრთნელი სოსო ფილია, ეტყობა, იმ პრინციპით ამჯობინებს მუშაობას, რომლის თანახმადაც მომგები შემადგენლობა არ იცვლება. შაბათს, „არმაზზე", ფილიამ ოდენ ერთი ცვლილება გააკეთა იმ თერთმეტეულთან შედარებით, რომელმაც განმეორებითი სათასო თამაში ჩაამთავრა. ამან გაამართლა. ფოთელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს, თუმცა კი მასპინძლებმა მეორე ტაიმში მეტად ანერვიულეს. შესვენებიდან მეორე გოლამდე, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე, თსუ-ს უპირატესობა იმდენად აშკარა გახლდათ, მათი უშედეგობა საცოდაობა იყო. ისე, კარის მშრალად შენახვაში სტუდენტ თავდამსხმელებზე ნაკლებ სტუმარი მცველები და მეკარეც როდი არიან დამნაშავენი.

თბილისელები სილაგავასგან პენალტსაც თითქმის იმდენჯერ ითხოვდნენ, რამდენჯერაც კარისკენ, თითქმის დაარტყამდნენ. ამაოდ. სამაგიეროდ, არბიტრი სილაგავა იყო მოწოდების სიმაღლეზე, არავის უთმობდა, ყვითლებიც ბლომად აფრიალა, მაგრამ პრინციპულობა ბოლომდე მაინც აღარ ეყო. წივწივაძის გოლი და ქობულაძის გაძევება ერთად მოხდა. საკვირველია, ფეხბურთელმა მსაჯს რა უთხრა ასეთი, წითელი რომ აუნთო. შეაგინა? რატომღაც არა მგონია. გუნდმა გოლი გაიტანოს და მსაჯი შეურაცხყოს? ფაქტი კია — ქობულაძეს მსაჯის გადაწყვეტილებისა ვერაფერი გაეგო. არბიტრის მოქმედების გასამართლებლად ერთი უსაფუძვლო მიზეზი თუ გამოდგება — სამართლიანად თუ უსამართლოდ არდანიშნული პენალტები, რომლებმაც მაყურებლებიც და თსუელებიც ალაშფოთა. სილაგავამ, ალბათ, ამათ გულის მოსაგებად გააძევა ქობულაძე. სხვა შემთხვევაში არბიტრი, უბრალოდ, ვალდებული იყო, ბოლო ათ წუთში ორი სტუდენტი მაინც გაეძევებინა. წითელი თუ არა, ყვითელი მაინც რომ ამოეღო, უფრო ლოგიკური იქნებოდა. ასე არ მოხდა, რამაც მსაჯის მისამართით „ტკბილ-ტკბილი" სიტყვების კორიანტელი დააყენა.

შუაში ბურთის დაჭერა სტუდენტთათვის არასასურველად დამთავრდა: ზუსტად ცენტრის ხაზთან ქობულაძემ მელქაძეს დაატოვებინა ბურთი და ერთ ხაზზე განლაგებულ მცველთა შორის მიქაბერიძე დოლიძესთან პირისპირ დატოვა. ტურამაც ოცი მეტრი მარტო ირბინა ბურთთან ერთად. დოლიძემ სასწაული ველარ ჩაიდინა. „კოლხეთი" დაწყნარდა, თავისი თამაში იპოვა. ორგანიზებულობასაც ვერ დაუკარგავს კაცი. ტაიმიც ისე მორჩა, მეტი აღარაფერი მომხდარა. შესვენების შემდგომ მოვლენებზე კი უკვე საკმარისად მოგახსენეთ.

# სიხარულიძემ რა ჰქმნა

ლანჩხუთი
„ევგრაფი შევარდნაძე"
14 მარტი

**გურია 1:1 მერანი**

**გურია:** ვარდანიძე, ლურწკაია, ჯ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ჯაშიაშვილი (განევი 46), თიბილაშვილი, ხოსროშვილი, ზ. კვეკვესკირი, ჩხეტია, ბერიძე (პატარაია 80), ბულუხია
**მერანი:** გვენცაძე, ივანიშვილი, ჯიშკარიანი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე (დავითაშვილი 46), აბაზაძე, გეწაძე, ინიაშვილი, მესხი (ჩიგოშვილი 90), მაზანაშვილი (ე. ალადაშვილი 89), კაპანაძე
1:0 ზ. კვეკვესკირი (2), 1:1 მესხი (45)
**გაფრთხილება:** თიბილაშვილი, გეწაძე, ჯ. კვეკვესკირი, აბაზაძე
**მსაჯი:** გ. ასკაროლლი (ქარელი)

**ვახტანგ ბზიკაძე** ლანჩხუთიდან

გუნდი რომ სეზონთაშორისში მხოლოდ ათი დღით მოემზადება, იმან ორითვის ნამზადევს არ უნდა სძლიოს. არა, არც უძლევია, მაგრამ უკვე მეორე წუთზე „გურია" „მერანს" 1:0 კი უგებდა.

პირველი წუთები და სულაც პირველი ტაიმი უფრო კარგი სანახავი, ბრძოლით გაჯერებული გამოდგა. მატჩის ორივე გოლიც სწორედ პირველ ნახევარში გავიდა.

წინასწარი პროგნოზი ეს იყო — გურულები თავიდან მოინდომებენ და ეგებ კიდეც იხეირონ, მეორე ტაიმში კი ფიზიკურად უფრო ძლიერი სტუმრები იძალებენო. ასეც მოხდა. მეტიც, თბილისელებმა პირველი ტაიმის ბოლოსვე აჯობეს მეტოქეს, მაგრამ იმ წუთებში ლურწკაიას კუთხურსმოყოლილი ზაზა კვეკვესკირის გოლით დაწინაურებული მასპინძლების დევნაში იყო.

ანგარიში შესვენების სასტვენამდე წამებით ადრე მიხეილ მესხმა გაათანაბრა. მიშამ თიბილაშვილის უხეიროდ მოგერიებული ჩაწოდება მოიგდო საჯარიმოს წინ აკეწლა და კუკულაძისგან ასხლეტილს კარში მიუჩინა ადგილი.

გოლის გატანა „მერანს" ბევრად ადრე, უკვე მერვე წუთზე შეეძლო. აქაც მესმა ივარგა, მცველთაგან წინგადაგდებული ბურთი მარჯვენა ფრთაზე ჩამოიღო და ცენტრში მაზანაშვილისკენ გადაიტანა. მაზანაც საჯარიმოში სწრაფად შეიჭრა, მაგრამ ვარდანიძემ კუთხე შეუმცირა და აიძულა, აეცილებინა. მეოცე წუთზე პირველი სადავო სიტუაციაც შეიქმნა — კუკულაძეს საჯარიმოში აჭრილი ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯმა თამაშის გაგრძელება ბრძანა. ტაიმის გასრულებამდე 15 წუთით ადრე მასპინძლებს ანგარიშის გაორების და თამაშის მოგების შანსი გაუცუდდათ: თიბილაშვილის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი ლანჩხუთელთა თავდამსხმელმა ბერიძემ ძელს გაარტყა. საპასუხო გოლამდე მასპინძლები ორჯერ იხსნა მეკარე ვარდანიძემ. ოთარმა ჯერ სახიფათო საჯარიმო აილო, მერე კი მაზანაშვილის შეტევა ბურთზე ჩაწოლილმა მოიგერია.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „მერანის" მეკარე გვენცაძე, ლიბერო ჯიშკარიანი და „გურიის" თავდამსხმელი ბულუხია ერთმანეთს შეასკდნენ. ეს ეპიზოდი მეორე ნახევრის ხასიათს თავიდანვე გამოხატავდა.

თამაში ბრძოლაში გადაიზარდა. სტუმრები უტევდნენ, მასპინძლები კი მათ იერიშებს უმკლავდებოდნენ. ჯონი ჯანელიძემ მესხს შეცვლაზე შესული დავითაშვილიც შეუწყვილა და თავდასხმა გააძლიერა. აბრეზამაც მომენტი მომენტზე შექმნა, მაგრამ ვერც ერთი გამოიყენა. სულიკოს ჯერ ინიაშვილის ჩაწოდებულზე დარტყმული აულო ვარდანიძემ, მერე ძლიერი დარტყმა რიკოშეტით აუცდა. ყველაზე დასანანი კი მისთვის 88-ე წუთი იყო, როცა ერთი-ერთზე კართან მიჭრილი მეკარეს დაეჩაგვრინა. ერთხელ კაპანაძემაც გაგზავნა ბურთი კარში, მაგრამ ლურწკაიას გაარტყა. მთელ მეორე ტაიმში კი გვენცაძე ერთხელ გაისარჯა, კობა კვეკვესკირის ჯარიმა რომ აილო.

თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ბულუხიამ შეუტია სტუმრებს. მარცხენა მცველის პოზიციაზე გადასულ გეწაძეს ბურთი გაუგდო და თითქოს კიდეც გაასწრო, მაგრამ საჯარიმოში ადრიანად მისწვდა. მასპინძლებმა პენალტი ითხოვეს — ამაოდ, ტყუილად. აქედან მოყოლებული გურამ ასკაროლლის ყოველი ამოსუნთქვა სადაო გახდა. ნერვულ დაძაბულობაზე ერთი ეპიზოდიც მეტყველებდა. „მერანის" კარში დანიშნული ჯარიმის დარტყმამდე ინიაშვილმა გეტრი შეისწორა და ზურგით მდგარ არბიტრს შემთხვევით შეეხო. ის კი, მგონი, აქაც მედავებიანო, ინიაშვილს გაეჭიმა...

„მერანმა" დაამტკიცა, უკეთესი მომზადება რომ გაევლო, მაგრამ მოსაგებად ამან ვერ იკმარა. ეგ კი არა, ბოლოს თბილისელებმა შეცვლებით დროის გაყვანა იხერხეს, ემანდ, მიღწეულიც არ გავფლანგოთო.

ისე, საოცარია, ათ დღეში ბეგი სიხარულიძემ რა სასწაული ჩაიდინა.



გურამ [illegible] ფოტო

დავითაშვილმა გურულებთან ვერაფერი გააწყო

# ქულა: ბევრიც და ცოტაც

წყალტუბო
„26 მაისი"
14 მარტი

**სამგურალი 0:0 დილა**

**სამგურალი:** ბობოხიძე, მახვილაძე, ფრანგიშვილი, შველიძე, ჭელიძე, ფხაკაძე, დ. ჯანელიძე (ე. ქუთათელაძე, 7), ძაგნიძე, ი. ხაჭაპურიძე, ხურცილავა (ვ. ჯანელიძე, 67), თევდორაძე (დარსაძე, 82)
**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე (ჩიტაია, 46), თარხნიშვილი, რევაზიშვილი (კაიდარაშვილი, 73), მარჯაშვილი, ხ. გაგნიძე, მარლიშვილი, ხორგუაშვილი (შატაკიშვილი, 89), ლომიძე
**გაფრთხილება:** ბალაშვილი, ფხაკაძე
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**იუზა კაციტაძე** წყალტუბოდან

უჭირდა თუ ულხინდა წინა ჩემპიონატებში, „სამგურალს" შინაურ თამაშებში გორელებისთვის ქულაც კი არ გაუმეტებია. წყალტუბოელებმა ექვსივე შეხვედრაში აჯობეს მეტოქეს. საერთოდაც, მეცხრე გათამაშების მონაწილეთაგან „დილა" ერთადერთია, ვისთანაც იმერლებს დადებითი სათამაშო ბალანსი გააჩნიათ. ამ სტატისტიკის გათვალისწინებით უნდა გვევარაუდა, რომ ტრადიცია არც ამჯერად დაირღვეოდა და მეორე წრის სტარტზე მასპინძლები სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად ჰაერივით საჭირო სამ ქულას მიითვლიდნენ. ასეთი იყო პროგნოზი, თუმცა, რეალობიდან გამომდინარე, მოვლენათა სხვაგვარი განვითარებაც არ იყო გამორიცხული. საქმე ის არის, რომ სამეორეწრეოდ ორივე გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა. „დილამ" სხვა კლუბებიდან თავისი ყოფილი მოთამაშეები გადმოიბირა და შესამჩნევად გაძლიერდა. თასის ნახევარფინალში გასვლამ გორელებს კიდევ უფრო გაულევია თამაშის მადა. „სამგურალს" პირიქით, წრეებს შორის პრობლემები თუ გაუჩნდა — სუხიაშვილი და გიორგობიანი „კოლხეთში" გადავიდნენ, ლევან ქობულაძე „ტორპედოში" წავიდა. ამათი და ურჩობისთვის თუ სხვა მიზეზთა გამო ტრანსფერზე წარდგენილთა ჩათვლით, გუნდს რვა ფეხბურთელი მიაკლდა. წყალტუბოელებიც მეტწილად ახალგაზრდა, გამოუცდელი მოთამაშეების იმედად დარჩნენ...

საწყის 15 წუთში სტუმართა უპირატესობა უდავო იყო. გორელებმა სწრაფად, ლაღად, კომბინაციურ სტილში დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. წყალტუბოელმა მცველმა უყურადღებოდ ითამაშეს საკუთარ საჯარიმოში, ბურთი მეკარესთან ახლოს მყოფ ხორგუაშვილს მიუვიდა, მაგრამ აქ ბობოხიძემ ივაჟკაცა, თავგანწირულ ნახტომში გადაელობა ბურთს და მდგომარეობა განმუხტა. ცოტაც და გორელებმა კიდევ ერთი შანსი გაუშვეს ხელიდან. ხორგუაშვილმა საჯარიმოს წინ კარგად დაუგდო მარლიშვილს, მასაც ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. მე-13 წუთზე კი მასპინძლები ისევ ბობოხიძემ იხსნა: მარლიშვილმა მარჯვნიდან დაარტყა საჯარიმო, ლომიძემ ამას თაური მიაყოლა, მაგრამ მეკარემ ძელთან მიუსწრო ბურთს. წყალტუბოელებმა იგრძნეს, რომ ინიციატივის დათმობა მათ კარგს არაფერს უქადდა და თავადაც შეეცადნენ შეტევაზე გადასვლას. საამისოდ ისინი უფრო ხშირად მარცხენა ფლანგს იყენებდნენ, სადაც ირაკლი ხაჭაპურიძე აქტიურობდა. 33-ე წუთზე მან მართლაც ჩინებულად ითამაშა, სწრაფად დაუსხლტა ორ მეტოქეს და სახიფათოდ ჩააწოდა კარის გასწვრივ. საჯარიმოში ბურთს ქუთათელაძე დაუხვდა, მაგრამ დარტყმა ვერ მოახერხა. გატანის უკეთესი მომენტი მასპინძლებს აღარც ჰქონიათ. გორელებს კი ტაიმის მიწურულსაც შეეძლოთ წყალტუბოელთა გაწბილება. ახლა უკვე მარლიშვილმა უბოძა ზუსტი პასი ხორგუაშვილს, მანაც, მეკარეს თავზე გადავუგდებ ბურთსო...არ გამოუვიდა.

მეორე ნახევარში ახალგაზრდა წყალტუბოელებმა მეტი ჟინი და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს, თამაშიც თითქოს გათანაბრდა, მაგრამ „დილას" ცალკეულ მოთამაშეთა კლასი და გამოცდილება მაინც ასვამდა დაღს მატჩის მსვლელობას. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, გორელებს გუშინწინ უნდა მოეგოთ. პირველზე ხომ ვთქვით, ისინი მეორე ტაიმშიც ახლოს იყვნენ მიზანთან: 70-ე წუთზე მათ ასპროცენტიანი საგოლე მომენტიდან მხოლოდ კუთხური შერჩათ და ისევ ბობოხიძემ შეუშალა მარლიშვილს. თამაშის დამთავრებას აღარაფერი უკლდა, როცა ხორგუაშვილს ახლო მანძილიდან ბურთი აეჭრა.

ტრადიცია დაირღვა. „დილამ" წყალტუბოდან ქულა წაიღო. სამჯერ მეტიც შეეძლო და „სამგურალის" იღბალი, ასე რომ არ მოხდა.

# გ(ო)ლუნჩაძე

ჭიათურა
„მაღაროელი"
14 მარტი

**მაღაროელი 1:3 ოდიში**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ტეფნაძე, მ. გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, ჯაბუა, ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, გლუნჩაძე, ისიანი, კალანდაძე
0:1, 0:2 გლუნჩაძე (34, 41), 1:2 შეყლაშვილი (61), 1:3 გლუნჩაძე (80)
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე** ჭიათურიდან

„გუნდში ნორმალური ვითარებაა, ვარჯიშისა და დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. ჩვენც ვიბრძოლებთ და ვნახოთ, რა გამოვა. მართალია, „ოდიში" სამმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ მათ ნაცვლად სამი ახალი მოთამაშე მოვიყვანეთ, რომელიმე საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი დიდია და ჩვენც იმედს არ ვკარგავთ" — განაცხადა მატჩის წინ ზუგდიდელთა პრეზიდენტმა ვახტანგ ნავამ. თავდაჯერებული და საბრძოლველად შემართული ოდიშელები ჭიათურაშიც მხოლოდ მოსაგებად ჩავიდნენ, მაგრამ იმას, რაც მათმა ცენტრფორვარდმა გლუნჩაძემ ჩაიდინა, ნამდვილად არავინ ელოდა. მან ჰეთ-თრიქი შეასრულა და ულამაზესი გოლები გაიტანა. სიტყვამ მოიტანა და ოთხი გოლიდან სამი, ორი გლუნჩაძის და ერთიც შეყლაშვილის, თაური დარტყმების შედეგად გავიდა, ასე რომ, მატჩი სანახაობრივად მეტად მიმზიდველი და უშელავათო გამოდგა.

თუმცა დასაწყისი მსგავსს არაფერს გვიქადდა. თამაში გუნდებმა ურთიერთდაზვერვით დაიწყეს. მართალია, სწრაფად ირჯებოდნენ, მაგრამ ნახევარი საათი ისე მიილია, სახეირო ვერაფერი მოიმოქმედეს, რაშიც, ალბათ, ჭიათურის ატალახებულმა მინდორმაც შეუშალათ ხელი. მე-20 წუთიდან მოყოლებული ინიციატივა მასპინძლებმა იგდეს ხელთ და თითქოს სტუმრები საკუთარ საჯარიმოსაც მიაჯაჭვეს, რომ ერთ-ერთი კონტრშეტევისას ჩადუნელის მანევრი გაეპარათ: მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ მაღალ გამჭოლ გადაცემას ყველაზე ადრე გლუნჩაძე გამოეხმაურა, მან წამით დაასწრო მასპინძელთა მეკარეს და თაური დარტყმით ანგარიშიც გახსნა.

ტაიმის მიწურულს თითქმის ანალოგიური კომბინაცია, ოღონდ ამჯერად მარჯვენა ფრთაზე, გაითამაშეს ზუგდიდელებმა, გულნჩაძეს ასისტენტად ისიანი მოევლინა და მანაც დაუფასა, ვარდნაში თაურით ულამაზესი გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარში ჭიათურელებმა სტუმრებს ნამდვილი შტურმი მოუწყვეს, მათ მონდომება და ჟინი არ დაუკლიათ მიზნის მისაღწევად. გააფთრებულ მაღაროელთა შემყურე მაყურებლებიც აჟრიამულდნენ, აკიჟინდნენ, ერთბაშად გამოცოცხლდნენ და მათი ომახიანი შეძახილებით გამხნევებულმა ზემოიმერლებმა მალე ანგარიშიც შეამცირეს — ამჯერად შეყლაშვილმა იმარჯვა და სამხარაძის მარჯვენა ფრთიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებულს თავით ოდიშელთა კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. გატანილმა გოლმა მასპინძლებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა, შტურმი გრძელდებოდა, იმედის ნაპერწკალი ის-ის იყო, ღვივდებოდა, რომ მე-80 წუთზე ზუგდიდელებმა შეტევაში გართული მაღაროელები კონტრშეტევაზე დაიჭირეს: ისევ ჩადუნელის ფლანგური გარღვევა, ისევ გამჭოლი გადაცემა რაღა თქმა უნდა, ისევ გლუნჩაძის გოლი, ამჯერად ფეხით.

დარჩენილ დროში ჭიათურელებს თავი არ დაუზოგავთ, ბოლომდე კაცურად იბრძოლეს, მაგრამ მათ თამაშს აკლდა რაღაც ისეთი, რაც ჰქონდა თუნდაც მათ მეტოქეს. რა იყო ეს, ვითომ იღბალი? ვითომ ბედმა უმუხთლა ზემოიმერლებს? არა, ნამდვილად არა. მოცდით, ამის ძიება „მაღაროელის" მწვრთნელებს მივანდოთ. ალბათ, იპოვიან კიდეც გამოსავალს და გუნდს გავარდნისგან იხსნიან.

# ნახევარრევანში

თბილისი
„შევარდენი"
14 მარტი

**მორკინალი 0:0 მარგვეთი**

**მორკინალი:** გუგუნავა, ილურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, ს. არჩვაძე, დვალიშვილი, ვ. ქუთათელაძე, ნადირაძე, კაჭარავა (ალავიძე 63), ჭუმბურიძე, გოჩაშვილი
**მარგვეთი:** ნიქაბერიძე, კაკაბაძე, ჟვანია, თ. გაბრიჭიძე, მ. ლონლაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, მალალურაძე (ქურციკიძე 90), მაღრაძე, თხელიძე (მუმლაძე 72), შავგულიძე (გოგაძე 82)
**გაფრთხილება:** გაბრიჭიძე
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ლაშა გოდუაძე**

...დაახლოებით ტაიმის შუაში ზესტაფონელთა შეტევა, რომელსაც თავდასხმა მხოლოდ ზრდილობის გულისთვის თუ შეიძლება ეწოდოს, ლამის მასპინძელთა კარის აღებით დასრულდა. „მორკინალის" კარის დარაჯმა გუგუნავამ სტუმარი ფორვარდის დარტყმულის მოგერიება ვერ შეძლო, რასაც უმალ სიტუაციის გამწვავება მოჰყვა, მაგრამ „დამნაშავე" გუგუნავამ ივაჟკაცა და დაძაბულობა განმუხტა. იყო 25-ე წუთი.

მანამდე საკმაოდ უინტერესო და მოსაწყენ თამაშში ერთი საგოლე მომენტიც არ შექმნილა. ცხადია, ზემოხსენებულმა დროის მონაკვეთმა არც უიერიშოდ ჩაიარა. უმეტესწილად თბილისელები აწუხებდნენ „მარგვეთს", თუმცა საკმაოდ კარგად განხორციელებული ფლანგური გარღვევების შემდეგ საჯარიმოში, იქ სადაც ყველაზე მეტად უნდა გამოეჩინათ ფხა, მასპინძელი კაჭარავა, ჭუმბურიძე და გოჩაშვილი სცოდავდნენ. მათი დარტყმული იმერელთა კარს სცდებოდა, ანაც ნიქაბერიძე იგერიებდა. ისე, „მორკინალის" მიერ შეპოჭილი „მარგვეთის" მეკარეს შესვენებამდე ბევრმა ოფლისღვრამ არ მოუწია. თავის მხრივ, აუტსაიდერი ზესტაფონელებიც შიგადაშიგ მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ, თუმცა ესენიც, მასპინძელთა დარად, ბოლო მომენტებში უყურადღებოდ ირჯებოდნენ.

რაკი „მარგვეთის" აუტსაიდერობა ვახსენე, უნდა აღვნიშნო, რომ განახლებულ ჩემპიონატში პირველი თამაშის კვალობაზე გუნდი ხუთეულისთვის მებრძოლ მეტოქეს ტოლს არ უდებდა. მასპინძლები სტუმრებს ვერ სჯობდნენ ფიზიკურ მომზადებაში, იმ საფეხბურთო კომპონენტში, რომელშიც ზესტაფონელები პირველი წრის მანძილზე ყველა მოწინაალმდეგეს ჩამოუვარდებოდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზამთრის შესვენება სტუმრებმა უფრო ნაყოფიერად გამოიყენეს, ვიდრე თბილისელთ.

შეხვედრის პირველი, ასე თუ ისე ხეირიანად განხორციელებული შეტევის შესახებ უკვე გიამბეთ. მაშინ ზესტაფონელები აქტიურობდნენ, „მორკინალის" პირველ სერიოზულ თავდასხმას კი ბედის უკუღმართობის გამო გოლი არ მოჰყვა. კაჭარავამ გაბრიჭიძის უნიათო თამაშით ისარგებლა, ბურთი ფეხზე მოირგო და წინ გამოვარდნილ დაბნეულ ნიქაბერიძეს თავზე გადაუგდო. დარტყმულმა მეკარისგან მარჯვენა ძელს სულ რამდენიმე სანტიმეტრში ჩაუარა. ამაზე რეალური საგოლე მომენტი „მორკინალს" პირველ 45 წუთში აღარ ჰქონია. შესვენებამდე იყო იერიშები, მაგრამ საყურადღებო არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმს რაიმე ცვლილება არ მოუტანია, გუნდები კვლავ ინერტულად თამაშობდნენ და პატარა სტადიონის კვალობაზე მრავლად მისული გულშემატკივარი საკმაოდაც მოაწყინეს. მოგეხსენებათ, ასეთი მატჩები უმეტესწილად უხეში არ არის და არც ეს შეხვედრა გახლდათ გამონაკლისი — ქუთაისელმა მსაჯმა ავთო შალამბერიძემ ყვითელი ბარათი მხოლოდ ერთხელ მოიშველია, ისიც მაშინ, როცა ზესტაფონელმა გაბრიჭიძემ მასპინძელთა ერთი შეხედვით სახიფათო შეტევა ხელით შეაჩერა. ცხადია, მას გაფრთხილება არ ასცდა. ისე, ხელით თამაში ამ შეხვედრაში საკმაოდ იყო — მეტოქეებმა ხუთჯერ მაინც დაარღვიეს წესი, თუმცა არბიტრმა ეს ვერ შენიშნა.

მატჩის ბოლოსწინა წუთი. ზესტაფონელ მცველთა უყურადღებობით კარგად სარგებლობს მასპინძელთაგან უდავოდ საუკეთესო მაისურაძე და თანაგუნდელთა შეტევას უყრის საფუძველს. „მორკინალის" ბოლო გაბრძოლება იმით მთავრდება, რომ თბილისელთა მე-11 ნომერი გოჩაშვილი წინ გამოსულ მეკარეს ასწრებს და ბურთს ცარიელი კარისკენ გზავნის. სიტუაცია უკიდურესად იძაბება, თითქოს მატჩის ბედიც წყდება, მაგრამ საიდანღაც უეცრად გაჩენილ სტუმართა მცველს ზედ კარის ხაზიდან გამოაქვს ბურთი. ორიოდ წუთში მსაჯი ასრულებს კიდეც მატჩს — 0:0.

ზემოთ მასპინძელთაგან საუკეთესო ვასილ მაისურაძე ვახსენეთ. მან თავისიანებიც დაჩრდილა და ზესტაფონელებიც. მორკინალელს არც ერთხელ დაუკარგავს ბურთი და არც არაზუსტი გადაცემა გაუკეთებია. დაცვასაც უნარიანად, შეუცდომლად ხელმძღვანელობდა და შეტევებშიც დროულად ერთვებოდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იგი მცველის კვალობაზე ლამის გამთამაშებლის ფუნქციასაც კისრულობდა, თან შეტევებისას გზად სამ, ზოგჯერ კი ოთხ მარგველსაც იოლადატყუებდა. ერთი სიტყვით, „მორკინალის" მესამე ნომერი მაისურაძე ერთადერთი იყო, ვინც ეს მოსაწყენი თამაში გაახალისა.

პირველი წრის საშინაო მარცხის, 2:4, შემდეგ „მარგვეთმა" რევანში ვერა, მაგრამ ქულა კი აიღო.

რაც შეეხება ცხრილის ზედა ნახევარში მოკალათებულ „მორკინალს", თუ მან კვლავაც ასე გააგრძელა, უეჭველია, დაქვეითება არ ასცდება.

# ჩამოღამება ოლდ ტრეფორდზე

## ინგლისი

XXX ტური

**ასტონ ვილა 3:1 კრ. პალასი**

1:0 ტეილორი (1), 2:0, 3:0 მილოშევიჩი (15პ, 36), 3:1 იანსენი (62)

**ბარნსლი 4:3 საუთჰემპტონი**

1:0 უორდი (17), 1:1 ოსტენსტადი (25), 2:1 ჯონსი (32), 2:2 ლე ტისიე (41), 3:2 ფიორტოფტი (42), 4:2 რედფერნი (57პ), 4:3 ლე ტისიე (71)

**ბოლტონი 3:2 შეფილდი**

0:1 ბუთი (26), 1:1 ფრანდსენი (31), 2:1 ბლეიკი (53), 2:2 აზერტონი (59), 3:2 ტომპსონი (69პ)

**ევერტონი 1:0 ბლექბერნი**

1:0 მადარი (62)

**მანჩესტერი 0:1 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (80)

**ნიუკასლი 0:0 ქოვენთრი**

**ტოტენჰემი 3:3 ლივერპული**

1:0 კლინსმანი (13), 1:1 მაკმანამანი (21), 2:1 ჟინოლა (49), 2:2 ინსი (64), 3:2 ვეგა (80), 3:3 მაკმანამანი (89)

**ვესტ ჰემი 2:1 ჩელსი**

0:1 შარვე (54), 1:1 სინკლერი (69), 2:1 აბოუ(?)რსი (75)

**უიმბლდონი 2:1 ლესტერი**

1:0 რობერტსი (14), 1:1 სევიჯი (57), 2:1 პიუზი (62)

**დერბი 0:5 ლიდსი**

0:1 ლაურსენი (შ.კ.), 0:2 ჰალე (35), 0:3 ბოუერი (42), 0:4 კიუელი (58), 0:5 ჟიმი.(71)



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — არსენალი. ოვერმარსმა ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა

ასე(?) უნდა მომხდარიყო. ჰაერში ტრიალებდა, რომ მეთოფეები გაიმარჯვებენ. რადგან ასეა — არ შეიძლება მთელი ზამთარი იდგე და ჩემპიონად ითვლებოდე. „არსენალს" კი თვენახევარია გოლი არ გაუშვია სალიგო თამაშში.

ავსტრიელმა ყმაწვილმა ალექს მანინგერმა სიმენის თითის ტკივილი საკუთარი ალმაფრენისთვის გამოიყენა და მეთოფეთა კარს ბოქლომი დაადო.

„ოლდ ტრეფორდი" მოწმე შეიქნა „მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხისა, მაგრამ ამჯერად ფერგიუსონის გუნდს იმგვარად დაჰკრეს ნაჯახი, რომ ღმერთმა იცის, ხვალ რა იქნება. 80-ე წუთზე დენის ბერხკამპისა და ნიკოლას ანელკას მეცადინეობით მარკ ოვერმარსმა ფეხებში გაუძვრინა ბურთი პეტერ შმაიხელს და მოსახდენი მოახდინა — 1:0 „არსენალის" სასარგებლოდ.

მეთოფეებს 13 დეკემბრის შემდეგ არ წაუგიათ, „იუნაიტედმა" ბოლო ოთხ შეხვედრაში ოთხი ქულა აიღო. და ეს კიდევ არ არის უბედურების დასასრული. ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის თამაშზე ვერ გამოვა მეკარე შმაიხელი, რომელსაც ბარძაყი სტკივა. ეგებ დანიელი გოლიათი რამდენიმე კვირითაც გამოაკლდეს ძირითადს. მისი შემცვლელი ჰოლანდიელი რაიმონდ ვან დერ გოუ რა ხვითოცაა, ყველამ კარგად იცის.

„ჩვენ დიდი გამარჯვება ჩავიწერეთ. მკაცრად ვითამაშეთ და მეტი უნდა გაგვეტანა. კარგი იქნება, თუ ეს მარცხი გასტეხს „იუნაიტედს", — თქვა არსენ ვენგერმა თამაშის შემდეგ.

მანჩესტერელთა საქმე კი მართლაც შავადაა. „იუნაიტედმა" შეინარჩუნა პირველი ადგილი, მაგრამ ეს ცრუ პირველი ადგილია. „იუნაიტედი" ექვსი ქულით უსწრებს „არსენალს", თუმცა ვენგერის გუნდს სამი თამაშით ნაკლები აქვს.

„ლივერპული" მესამე ადგილს ჩამოეკიდა. მერსისაიდის წითელმა გუნდმა ძლივს იშოვნა ფრე „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" — 3:3. ლივერპულელთა ქულა მათი ოქროსქოჩორა ბიჭის, სტივ მაკმანამანის 89-ე წუთზე გატანილმა გოლმა ჩაწერა ცხრილში. „ტოტენჰემი" ოცგუნდა პრემიერლიგის 17-ე ადგილზე დევს, ზურგსუკნიდან კი პატარა „ბარნსლის" ხშირი სუნთქვა მოესმის. აკი გაზაფხულიაო და იორკშირელმა ცეროდენამაც პრემიერლიგაში დარჩენისათვის ბრძოლა გადაწყვიტა. „ბარნსლიმ" 4:3 მოუგო „საუთჰემპტონს", ქულათა ოდენობით წამოეწია „ტოტენჰემს" და ერთი თამაშითაც ნაკლები აქვს.

ცხრილის ბოლო გუნდი კი ლონდონის „კრისტალ პალასია". სანამ ტერი ვენებლზი „ჰოს" იტყვის, „პალასის" უფროსობამ მენეჯერი სტივ კოპელი დაითხოვა და დროებით თვალყურისმდევლად კლუბის იტალიელი ფეხბურთელი ატილიო ლომბარდო დანიშნა. ლონდონში მოდად კი შემოვიდა ქაჩალი იტალიელების მწვრთნელებად გამწესება, მაგრამ აქედან დიდი ხეირი არ არის. „პალასს" ვერც ახალმა მოთამაშე-მწვრთნელმა და ვერც საიდანღაც გამომძვრალმა ტომას ბროლინმა უშველეს. გუნდი 1-3-ზე დამარცხდა ბირმინგემში „ასტონ ვილასთან" და მთლად ჩაიკარგა ცხრილის ბოლო ადგილზე.

ხელი გამოიღო „ბოლტონმა" რომელმაც 3:2 მოუგო უცნაურ „შეფილდ უენსდის". ახლა „ბოლტონი" ოთხი ქულით ჩამორჩება „ტოტენჰემსა" და „ბარნსლის", „კრისტალ პალასს" კი ოთხი ქულით უსწრებს. მაჩანჩალათა პაექრობა არანაკლებ ცხარია, ვიდრე ლიდერთა ომი. „ევერტონს" უკვე მშვიდად ყოფნაც შეუძლია, რახან ბოლო დროს მოშლილ „ბლექბერნს" მოუგო მიკაელ მადარის კენტი გოლით. ურჩუკთა ომში „უიმბლდონმა" „ლესტერი" დაჯაბნა 2:1, „ვესტ ჰემმა" კი ლონდონელ ქაჯთა და არისტოკრატთა დერბიში სძლია ვიალის „ჩელსის", თანაც ისე რომ, თავიდან აგებდა და ექვს წუთში შეატრიალა ჩარხი, ასევე — 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩ[illegible]ტ[illegible]რი | 31 | 18 | 6 | 7 | 58:23 | 60 |
| არსენ[illegible] | 28 | 15 | 9 | 4 | 47:26 | 54 |
| ლივერპული | 30 | 14 | 9 | 7 | 51:32 | 51 |
| ჩელსი | 30 | 15 | 3 | 12 | 59:35 | 48 |
| ლიდსი | 30 | 14 | 6 | 10 | 45:30 | 48 |
| ბლექბერნი | 29 | 13 | 9 | 7 | 49:38 | 48 |
| დერბი | 29 | 13 | 6 | 10 | 44:39 | 45 |
| ვესტ ჰემი | 29 | 13 | 5 | 11 | 41:38 | 44 |
| ლესტერი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:30 | 40 |
| ქოვენთრი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:35 | 40 |
| საუთჰემპტონი | 30 | 12 | 4 | 14 | 39:42 | 40 |
| ასტონ ვილა | 31 | 11 | 6 | 14 | 34:41 | 39 |
| შეფილდი | 30 | 10 | 7 | 13 | 45:57 | 37 |
| უიმბლდონი | 28 | 9 | 8 | 11 | 30:32 | 35 |
| ნიუკასლი | 28 | 9 | 8 | 11 | 26:31 | 35 |
| ევერტონი | 30 | 8 | 9 | 13 | 34:42 | 33 |
| ტოტენჰემი | 30 | 8 | 7 | 15 | 29:47 | 31 |
| ბარნსლი | 29 | 9 | 4 | 16 | 29:66 | 31 |
| ბოლტონი | 29 | 5 | 12 | 12 | 27:47 | 27 |
| კრ. პალასი | 29 | 5 | 8 | 16 | 24:50 | 23 |

### პირველი დივიზიონი

38-ე ტური. ბრედფორდი — ბირმინგემი 0:0; ჰადერსფილდი — ტრანმერი 3:0; ნორვიჩი — ვესტ ბრომვიჩი 1:1; ნოტინგემი — ბერი 3:0; ოქსფორდი — სტოკ სიტი 5:1; პორტ ვეილი — სიტი 2:1; პორტსმუთი — მიდლსბრო 0:0; ქუინზ პარკი — სვინდონი 1:2; შეფილდ იუნაიტედი — რედინგი 4:0; სტოკპორტი — იფსვიჩი 0:1; ვულვერჰემპტონი — ქრიუ 1:0; ჩარლტონი — სანდერლენდი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 37 | 22 | 8 | 7 | 63:33 | 74 |
| მიდლსბრო | 37 | 21 | 9 | 7 | 61:36 | 72 |
| სანდერლენდი | 37 | 20 | 10 | 7 | 65:38 | 70 |
| ჩარლტონი | 37 | 18 | 9 | 10 | 64:47 | 63 |
| იფსვიჩი | 37 | 16 | 13 | 8 | 60:38 | 61 |
| შეფილდ იუნ. | 35 | 16 | 13 | 6 | 54:37 | 61 |
| ბირმინგემი | 37 | 14 | 14 | 9 | 49:31 | 56 |
| ვულვზი | 35 | 16 | 7 | 12 | 45:36 | 55 |
| სტოკპორტი | 38 | 16 | 6 | 16 | 60:54 | 54 |
| ვესტ ბრომვიჩი | 38 | 14 | 10 | 14 | 37:43 | 52 |
| ბრედფორდი | 38 | 12 | 14 | 12 | 38:39 | 50 |
| სვინდონი | 38 | 14 | 7 | 17 | 38:58 | 49 |
| ოქსფორდი | 37 | 13 | 8 | 16 | 50:51 | 47 |
| ქრიუ | 38 | 14 | 5 | 19 | 45:54 | 47 |
| ნორვიჩი | 38 | 11 | 12 | 15 | 37:57 | 45 |
| ქუინზ პარკი | 37 | 10 | 13 | 14 | 43:52 | 43 |
| ბერი | 38 | 8 | 18 | 12 | 35:46 | 42 |
| ჰადერსფილდი | 38 | 11 | 9 | 18 | 42:57 | 42 |
| პორტ ვეილი | 38 | 11 | 8 | 19 | 44:54 | 41 |
| პორტსმუთი | 37 | 11 | 8 | 18 | 40:51 | 41 |
| ტრანმერი | 36 | 10 | 10 | 16 | 37:45 | 40 |
| სიტი | 38 | 10 | 9 | 19 | 42:46 | 39 |
| რედინგი | 37 | 10 | 9 | 18 | 35:60 | 39 |
| სტოკ სიტი | 38 | 8 | 13 | 17 | 36:57 | 37 |

## საფრანგეთი

XXIX ტური

**ნანტი 1:2 ბორდო**

0:1 მიკო (8), 1:1 ლა როში (59), 1:2 ფერი (80ს.კ.)

**გინგამი 0:0 შატორუ**

**ოსერი 3:1 მონაკო**

1:0, 2:0 მარლე (34, 65), 3:0 ლამუში (48), 3:1 ტრეზეგი (77)

**ლე ავრი 2:0 კანი**

1:0 დე ნიჟა (47), 2:0 პრატი (90)

**სტრასბური 3:1 რენი**

1:0, 2:0 ნუმა (47, 67), 2:1 ვარი (68), 3:1 სეო (80)

**ტულუზი 0:2 ლიონი**

0:1 პედროსი (8), 0:2 კაველია (33)

**მონპელიე 0:1 მეცი**

0:1 სერედსუმი (83)

**მარსელი 1:0 ბასტია**

1:0 რავანელი (88)

**ლანსი 3:0 პსჟ**

1:0 ვაირელი (8), 2:0 ვალემი (44), 3:0 ფოე (75)

„მეცი" ოქროს მწვერვალისკენ შეუპოვარ სვლას აგრძელებს, მან „მონპელიეს" 1:0 აჯობა, „მონაკომ" კი ამასობაში ფაქტობრივად გამოიტირა ჩემპიონობა — „ოსერთან" 1:3 წააგო.

„მეცის" მცველი სირილ სერედსუმი თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე საფრანგეთის ნაკრების წევრი თანაგუნდელის, რობერ პირეს ჩაწოდებულ კუთხურს მიუხდა, გაწოლილი თაური ჰკრა და „მონპელიეს" დამარცხების გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ, მსაჯის მიერ წამატებულ დროში „მონპელიემ" გადააკვეთინა ბურთს მოწინააღმდეგის კარის ხაზი, მაგრამ მსაჯმა ბრძანა, მეკარე ლიონელ ლეტიზიზე თავდასხმა იყოო და არ ჩათვალა.

ახლა ოსერში გადავინაცვლოთ, სადაც თავდამსხმელმა სტივ მარლემ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის მაძიებელ „მონაკოს" თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა, ერთიც საბრი ლამუშიმ დაამატა და ისე გამოვიდა, რომ 65-ე წუთზე ჟან ტიგანა და მისი გუნდი უკვე 0:3-ს აგებდა.

თუკი „მონაკოს" ოთხშაბათს, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" იქაურ „იუნაიტედთან" აქვს საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრა ჩემპიონთა თასზე (პირველი მატჩი 0:3 იყო), „ოსერი" სამშაბათს შინ რომაულ „ლაციოს" ელის და ამ 3:0-ის შემდეგ იმედოვნებს, რომ იტალიაში წაგებულ 0:1-ს გამოასწორებს.

— ბედნიერი ვარ, რომ კარგა ხნის შემდეგ კვლავ გოლი გავიტანე — განაცხადა მარლემ, რომელსაც დეკემბერში, უეფას თასის მერვედფინალური საპასუხო მატჩის შემდეგ აღარ გაეტანა. მაშინ მისმა დარტყმულმა ჰოლანდიური „ტვენტეს" კარის ხაზი გადააკვეთინა. მან დასძინა: — ეს გამარჯვება უეფას თასზე შედეგიანად გამოსვლისკენ გვიბიძგებს.

„ბორდომ" „ნანტს" აჯობა, რამაც ბორდოელთა სახელგანთქმული თავდამსხმელი ჟან პიერ პაპენი განაცვიფრა:

— სამი დღის წინ ლიგის თასზე „ოსერს" ვაჯობეთ და ამიტომ არ ველოდი, რომ „ნანტისთვის" ენერგია შეგვრჩებოდა. დღეს „ბორდოს" ორიოდ მომენტი ჰქონდა, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რაც გუნდის კარგ თამაშზე მეტყველებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 29 | 16 | 8 | 5 | 42:24 | 56 |
| ლანსი | 29 | 17 | 4 | 8 | 42:28 | 55 |
| მარსელი | 29 | 16 | 5 | 8 | 42:21 | 53 |
| მონაკო | 29 | 15 | 4 | 10 | 42:28 | 49 |
| პსჟ | 29 | 13 | 7 | 9 | 38:30 | 46 |
| ბორდო | 29 | 12 | 10 | 7 | 41:34 | 46 |
| ლიონი | 29 | 14 | 4 | 11 | 33:30 | 46 |
| ოსერი | 29 | 13 | 6 | 10 | 48:38 | 45 |
| ბასტია | 29 | 10 | 10 | 9 | 28:23 | 40 |
| მონპელიე | 29 | 9 | 10 | 10 | 29:34 | 37 |
| ლე ავრი | 29 | 8 | 12 | 9 | 32:29 | 36 |
| ნანტი | 29 | 10 | 6 | 13 | 28:33 | 36 |
| ტულუზი | 29 | 8 | 8 | 13 | 22:40 | 32 |
| სტრასბური | 29 | 7 | 8 | 14 | 33:40 | 29 |
| რენი | 29 | 7 | 8 | 14 | 31:42 | 29 |
| გინგამი | 29 | 7 | 8 | 14 | 24:35 | 29 |
| კანი | 29 | 7 | 6 | 16 | 28:48 | 27 |
| შატორუ | 29 | 7 | 6 | 16 | 25:51 | 27 |

## იტალია

XXV ტური

**ბოლონია 3:1 ვიჩენცა**

1:0 ანდერსონი (16), 1:1 ზაული (32), 2:1 კოლივანოვი (38), 3:1 ანდერსონი (45)

**ინტერი 4:0 ატალანტა**

1:0 მორიერო (65), 2:0 კანუ (69), 3:0 რონალდო (72), 4:0 კოე (88)

**იუვენტუსი 2:2 ნაპოლი**

1:0 დელ პიერო (45), 1:1 ტურინი (68), 2:1 ზალაიეტა (75), 2:2 პროტი (90)

**სამპდორია 0:4 ლაციო**

0:1 იუგოვიჩი (1), 0:2 ნედვედი (8), 0:3, 0:4 ფუზერი (66, 81)

**ბრეშა 2:2 მილანი**

1:0 უბნერი (41პ), 1:1, 1:2 ვეა (45, 52), 2:2 ბიცარი (70)

**ემპოლი 2:0 პარმა**

1:0 მარტუშელო (26), 2:0 ბონომი (45)

**ლეჩე 1:1 ფიორენტინა**

1:0 მ. როსი (68), 1:1 ოლივეიარა (86)

**პიაჩენცა 0:2 უდინეზე**

0:1 ბირჰოფი (18პ), 0:2 პოჯი (28)

**რომა 2:1 ბარი**

1:0 პაულო სერჟიო (2), 1:1 ძამბროტა (53), 2:1 ალდაირი (78)

მაჩანჩალა „ნაპოლიმ", ისიც კაცნაკლულმა, 2:2 ითამაშა ტურინში „იუვენტუსთან" და ამ უცნაურმა შედეგმა „სკუდეტოსთვის" ბრძოლა ერთიორად დაძაბა, ვინაიდან „ლაციომ" და „ინტერმა" ერთნაირი ანგარიშით, 4:0 მოიგეს.

„იუვენტუსს" გვარიანი ბრძოლის შემდეგ თავი სამშვიდობოს ეგონა, 2:1-ს იგებდა, მაგრამ თამაშის ბოლო წუთზე ნეაპოლელთა სწრაფმა კონტრშეტევამ 44500 ტურინელ გულშემატკივარს ცივი წყალი გადაასხა — თავდამსხმელმა იგორ პროტიმ, რომელსაც ამ სეზონში „ნაპოლის" გაჭირვების მიზეზად მიიჩნევენ, მასპინძელთა კარი დალაშქრა. ამ შეხვედრაში იტალიის ჩემპიონის მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ სერია A-ში პირველად ათამაშა 19 წლის ურუგვაელი მარსელო სალაიეტა, რომელმაც სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა.

„ლაციომ" ყოფილი სამპდორიელების რობერტო მანჩინისა და ვლადიმირ იუგოვიჩის ყოჩობით გენუაში დრო უქმად არ დახარჯა. იუგოვიჩმა პირველსავე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო ჩეხმა პაველ ნედვედმა შვიდი წუთის შემდეგ მიმდინარე პირველობაზე თავისი მე-11 გოლი გაიტანა. შემდეგ დავიდ ბალერი მოედნიდან გააძევეს და უმეტესობაში დარჩენილმა რომაელებმა დიეგო ფუზერის სახელით მანამდე გატანილ ორს კიდევ ორი დაამატეს.

მილანში, „სან სიროზე" კი 50 ათასმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა 20 წლის ნიგერიელ ნვანკვო კანუს, რომელმაც გულის უმძიმესი ოპერაციის შემდეგ კვლავ გამოძებნა მოედანზე დასაბრუნებელი ძალა და ბერგამოს „ატალანტას" კარში გატანილი გოლით სერია A-ში თავის გოლებს დასაბამი დაუდო.

ეს „ინტერის" მეორე გოლი გახლდათ ბერგამოელთა კარში, ისე კი აღსანიშნავია, რომ 44-ე წუთზე რონალდოს წინააღმდეგ უხეშობის გამო მოედნიდან „ატალანტას" ფაბიო რუსტიკო გააძევეს. ასე, რომ მილანელებს თამაშის ნახევრის მანძილზე რიცხვნაკლული მეტოქე ეწინააღმდეგებოდა.

„ბოლონიამ" „ვიჩენცას" 3:1 რომ მოუგო, ორი გოლი შვედმა კენეტ ანდერსონმა გაიტანა და ორივეჯერ საგოლე პასი რობერტო ბაჯოსი გახლდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 25 | 15 | 8 | 2 | 52:22 | 53 |
| ლაციო | 25 | 15 | 6 | 4 | 46:17 | 51 |
| ინტერი | 25 | 15 | 5 | 5 | 45:21 | 50 |
| უდინეზე | 25 | 13 | 7 | 5 | 46:29 | 46 |
| რომა | 25 | 12 | 8 | 5 | 45:30 | 44 |
| პარმა | 25 | 12 | 8 | 5 | 39:25 | 44 |
| ფიორენტინა | 25 | 10 | 10 | 5 | 46:28 | 40 |
| მილანი | 25 | 10 | 9 | 6 | 32:24 | 39 |
| სამპდორია | 25 | 9 | 7 | 9 | 39:44 | 34 |
| ბოლონია | 25 | 7 | 9 | 9 | 36:35 | 30 |
| ვიჩენცა | 25 | 8 | 5 | 12 | 27:47 | 29 |
| ბრეშა | 25 | 7 | 6 | 12 | 34:40 | 27 |
| ემპოლი | 25 | 7 | 5 | 13 | 36:43 | 26 |
| ბარი | 25 | 7 | 5 | 13 | 23:36 | 26 |
| პიაჩენცა | 25 | 4 | 12 | 9 | 18:30 | 24 |
| ატალანტა | 25 | 4 | 9 | 12 | 19:38 | 21 |
| ლეჩე | 25 | 3 | 5 | 17 | 19:56 | 14 |
| ნაპოლი | 25 | 2 | 6 | 17 | 17:54 | 12 |

### სერია B

26-ე ტური. კიევო — ვერონა 2:0; ანკონა — ფ. ანდრია 2:0; ფოჯა — ჯენოა 3:1; ლუკეზე — პესკარა 0:3; მონცა — კალიარი 0:0; პერუჯა — რეჯინა 0:1; რავენა — ტრევიზო 2:0; რეჯანა — პადოვა 0:2; სალერნიტანა — დი სანგრო 1:0; ვენეცია — ტორინო 0:0;

## ესპანეთი

XXIX ტური

**კომპოსტელა 2:1 ატლეტიკო**

0:1 ვიერი (58), 1:1 [illegible] (76), 2:1 ბელიდო (82)

**რეალი 2:2 რასინგი**

0:1 ლოპესი (15), 1:1 მიატოვიჩი (31), 2:1 ზეედორფი (50), 2:2 ბესჩასტნიხი (68)

**ბეტისი 2:1 სალამანკა**

1:0 ალფონსო (38), 2:0 კუელიარი (81), 2:1 სიტო (86)

**ესპანიოლი 0:3 სოსიედადი**

0:1 ლორენი (61), 0:2, 0:3 კოვაჩევიჩი (82პ, 90)

**სარაგოსა 0:2 ვალენსია**

0:1 ილიე (72), 0:2 კ. ლოპესი (90)

**მერიდა 1:0 დეპორტივო**

1:0 კლებერი (31)

**ოვიედო 2:1 სპორტინგი**

0:1 მარტინი (8), 1:1, 2:1 დელი ვალდესი (16, 81)

**სელტა 0:0 ტენერიფე**

**ვალიადოლიდი 1:2 ბარსელონა**

1:0 ჩემა (12), 1:1 რივალდო (56), 1:2 ფიგუ (87)

**ბილბაო — მალიორკა**

დღეს გაიმართება

„რეალის" უხეირო სვლა გრძელდება, „სამეფო გუნდმა" მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" თითქოსდა იოლად დასაძლევ „რასინგს" ვერ სძლია.

„რასინგმა" მადრიდელ ქომაგებს სიურპრიზი მოუწყო. მე-15 წუთზე მასპინძელთა დაცვის ქაოსით ისარგებლა და ხავიერ ლოპესის გოლით ანგარიში გახსნა. შემდეგ, იუგოსლავიის ნაკრების თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა მადრიდული გოლით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა ვიქტორ სანჩესის პასით მეორე ტაიმის დასაწყისში დააწინაურა კიდეც ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალისტი, მაგრამ სტუმართა რუსმა ფეხბურთელმა ვლადიმირ ბესჩასტნიხმა მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გაქვითა და „რასინგის" ახალ მწვრთნელს ნანდო იოსუს გალიმების საშუალება მისცა.

აღსანიშნავია, რომ „ბერნაბეუზე" „რასინგი" „რეალს" სულ 31-ჯერ სტუმრებია და აქედან მხოლოდ შვიდჯერ არ წაუგია. მეშვიდე ახლა იყო.

— ვგონებ, ცუდად არ გვითამაშია, ეგაა, ბოლო წუთებში ყურადღება მოვადუნეთ. ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, მოვიგებდით. სამწუხაროდ, შესვენების შემდეგ რაულმა ერთი და ვიქტორმა ორი კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან — განაცხადა „რეალის" მწვრთნელმა იუპ ჰაინკესმა.

მადრიდის მეორე გუნდმა, „ატლეტიკომ" „კომპოსტელასთან" სტუმრად დიდი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ კარში, პირველ ტაიმში, ერთადერთხელ დაარტყა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში კიკომ კარგი პასით გაჭრა მეტოქის დაცვა და კრისტიან ვიერის ანგარიში გაახსნევინა, ოღონდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. რამონო სიონმა და ხავიერ ბელიდომ მადრიდელები დაამარცხეს.

იცით, რომ „სან ლორენცოს" სტადიონზე ამ თამაშს ყოფილი ბარსელონელი ხრისტო სტოიჩკოვი ესწრებოდა? ეტყობა, „კომპოსტელა" ერთხელაც ცდის მასთან კონტრაქტის გაფორმებას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 28 | 18 | 4 | 6 | 61:38 | 58 |
| რეალი | 29 | 14 | 9 | 6 | 51:35 | 51 |
| სელტა | 29 | 14 | 6 | 9 | 39:32 | 48 |
| სოსიედადი | 29 | 12 | 11 | 6 | 45:28 | 47 |
| ბეტისი | 28 | 13 | 8 | 7 | 40:35 | 47 |
| ატლეტიკო | 29 | 12 | 10 | 7 | 57:37 | 46 |
| ვალენსია | 29 | 13 | 5 | 11 | 44:33 | 44 |
| ბილბაო | 28 | 11 | 11 | 6 | 36:33 | 44 |
| მალიორკა | 28 | 11 | 10 | 7 | 39:25 | 43 |
| ესპანიოლი | 29 | 9 | 12 | 8 | 35:26 | 39 |
| სარაგოსა | 29 | 10 | 9 | 10 | 38:46 | 39 |
| ოვიედო | 29 | 8 | 13 | 8 | 31:35 | 37 |
| დეპორტივო | 29 | 8 | 12 | 9 | 32:31 | 36 |
| ვალიადოლიდი | 29 | 10 | 6 | 13 | 28:42 | 36 |
| მერიდა | 29 | 9 | 7 | 13 | 29:43 | 34 |
| რასინგი | 29 | 8 | 8 | 13 | 34:44 | 32 |
| სალამანკა | 29 | 8 | 7 | 14 | 25:34 | 31 |
| კომპოსტელა | 29 | 7 | 10 | 12 | 38:49 | 31 |
| ტენერიფე | 29 | 7 | 8 | 14 | 31:48 | 29 |
| სპორტინგი | 29 | 1 | 4 | 24 | 25:64 | 7 |

### მეორე დივიზიონი

32-ე ტური. ლას პალმასი — ეიბარი 4:1; ლეიდა — ალბასეტე 2:0; ორენსე — ტოლედო 0:0; ხაენი — ვილიარეალი 1:2; სერესი — რაიო 1:0; ელჩე — ერკულესი 1:1; ესტრემადურა — ოსასუნა 1:1; ბადახოსი — ლევანტე 2:0; ლოგრონიესი — ალავესი 1:1; სევილია — ლეგანესი 3:2; ატლეტიკო B — ნუმანსია 4:2

# ცოტაც და...

## გერმანია

XXVI ტური

**ვოლფსბურგი 1:2 კარლსრუე**

1:0 ჰენგენი (10ს.კ.), 1:1 დანდი (30), 1:2 ჰესლერი (69)

**ჰამბურგი 0:0 შტუტგარტი**

**ბაიერნი 0:0 ბოხუმი**

**დორტმუნდი 3:2 არმინია**

1:0 შაპუიზა (26), 2:0, 3:0 შნაიდერი (63, 87), 3:1, 3:2 კუნცი (89, 90)

**კაიზერი 1:0 მიუნხენი**

1:0 რატინიო (45)

**გლადბახი 0:0 ვერდერი**

**ლევერკუზენი 1:1 დუისბურგი**

0:1 ოსტჰოფი (4), 1:1 ემერსონი (45)

**ჰერტა 1:4 შალკე**

0:1 ვილმოტსი (22), 0:2 ტონი (46), 1:2 პრეცი (54), 1:3 მაქსი (74), 1:4 მიულერი (90)

**კიოლნი 0:0 ჰანზა**

— ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოდით. პირველობის დასაწყისიდანვე ერთადერთი მიზანი დავისახეთ — ჩემპიონობა. ეს აუხდენელი ოცნება რომ არ გახლდათ, ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობაც ადასტურებს. ბუნდესლიგაში რომ დავბრუნდით, „კაიზერსლაუტერნის" სიძლიერეში ეჭვი არ გვეპარებოდა. ძალა შემდგომშიც ბევრჯერ დავამტკიცეთ. რაც მთავარია, ჩემპიონატის დაძაბულ ტემპს გავუძელით, ის ძნელი პერიოდიც გამოვიარეთ, „ბაიერნთან" სხვაობა მხოლოდ ქულა რომ იყო. ახლა უკვე საკმაო მარაგით ვლიდერობთ და ვფიქრობთ, შევძლებთ კიდეც ჩემპიონატის მოგებას — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის" გამოცდილმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა, რომელმაც შესაძლოა გერმანული ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთი თვალსაჩინო ფურცელი ჩაწეროს — „კაიზერსლაუტერნი" ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი გუნდი იქნება, რომელიც ლიგაში აღზევების პირველივე წელს ჩემპიონი გახდება. ამ საკმაოდ იშვიათი მიღწევის გარდა ისიცაა საყურადღებო, რომ პირველი ტურიდან მიყოლებული „კაიზერსლაუტერნის" ლიდერობა არავისთვის დაუთმია, რაც მარტო ბუნდესლიგის ისტორიაში კი არა, სხვა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ისტორიაშიც იშვიათი შემთხვევაა.

ლიდერებს ჩემპიონობის საკმაოდ რეალური შანსები აქვთ. გუნდი შესანიშნავად თამაშობს, თან დროის დინება მათ ფეხბურთს ვერაფერს აკლებს, პირიქით, გუნდი უფრო და უფრო იკვრება და შეთამაშებული ხდება. ახლაც ასე იყო. მართალია, „მიუნხენ 1860" საკმაოდ კერკეტი კაკალია, მაგრამ მასპინძლები სტუმრებს რომ დაამარცხებდნენ, ეჭვი არავის ეპარებოდა. წუთი წუთს მისდევდა, გოლი კი არ ჩანდა, თუმცა მასპინძლებმა მაშინ იხარეს, როცა მეტოქეს მორალურად პირველი ტაიმი დამთავრებული ჰქონდა — რატინიოს დარტყმა უზადო გამოდგა. მეორე ნახევარში „კაიზერსლაუტერნმა" ჩვეულ სტილს არ უღალატა, საგოლე შანსებიც ბლომად ჰქონდათ, თუმცა ხელახლა მიუნხენელთა კარის ბადის შერხევა ველარ მოახერხეს.

ლიდერთა მინიმალური ანგარიშით გამარჯვება სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, „კაიზერსლაუტერნს" სხვაობა მდევრებთან კიდევ უფრო რომ გაეზარდა — უახლოესმა მოცილე „ბაიერნმა" შინ, შოთასგან და მისი „აიაქსისგან" ძლეული ბუნდესლიგის აუტსაიდერის „ბოხუმის" დაჩოქება ვერ შეძლო, არადა მასპინძლებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს, თან სახიფათო მომენტებიც საკმაო რაოდენობით შექმნეს, თუმცა...

— გუნდში კრიზისია. ფეხბურთელები მოვალეობას ზერელედ ეკიდებიან ასე კი არ შეიძლება. ამ ბოლო დროს ისინი საკმაოდ ბევრს ბჭობენ გუნდის ტაქტიკაზე, რაც მათი მოვალეობა სულაც არაა. მე მწვრთნელი ვარ და მუდამ გამარჯვებისთვის ვიბრძვი. გუნდში მოღალატეები მყავს, რომლებიც საქმეს მიფუჭებენ. არაპროფესიულობას და კულისებში ჭორაობას კი ვერც აქამდე ვიტანდი და ვერც მომავალში მოვითმენ. ახლაც ეს ფრე თავისუფლად შეიძლებოდა გამარჯვება ყოფილიყო, მაგრამ დაქსაქსულობამ დაგვღუპა. თუ ასე გავაგრძელეთ, ჩემპიონობა კი არა, ევროტურებზე თამაშიც სანატრელი გაგვიხდება. მალე ჩემპიონთა ლიგაში გადამწყვეტი მატჩი გველის, გულგრილობამ კი ძალიან მეშინია არ დაგვღუპოს — თქვა მიუნხენელთა აღშფოთებულმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ, რომლის თაოსნობითაც გასულ კვირას, „ბაიერნის" თავკაცობამ კლუბის სამი ფეხბურთელი — მეჰმეტ შოლი, მარიო ბასლერი და ტომას შტრუნცი ენის ტარტალისთვის გვარიანი თანხით დასაჯა.

— „ბაიერნს" თითქმის სეხნია ლევერკუზენელები და უეფას თასის მფლობელი გელზერკირხენელები უდგანან კვალში. პირველმა შანსი დაკარგა „ბაიერნს" დასწეოდა, მეორემ კი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან დასაახლოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაზერი — მიუნხენი. პაველ კუკა მიუნხენელთა კარს უტევს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 26 | 17 | 6 | 3 | 49:27 | 57 |
| ბაიერნი | 26 | 14 | 6 | 6 | 49:30 | 48 |
| ლევერკუზენი | 26 | 12 | 10 | 4 | 52:30 | 46 |
| შალკე | 26 | 11 | 11 | 4 | 32:22 | 44 |
| შტუტგარტი | 26 | 11 | 8 | 7 | 44:34 | 41 |
| ჰანზა | 26 | 10 | 6 | 10 | 37:33 | 36 |
| დორტმუნდი | 26 | 9 | 8 | 9 | 45:41 | 35 |
| დუისბურგი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:34 | 35 |
| ვერდერი | 26 | 9 | 8 | 9 | 32:40 | 35 |
| ჰერტა | 26 | 9 | 6 | 11 | 31:42 | 33 |
| ბოხუმი | 26 | 8 | 7 | 11 | 30:37 | 31 |
| კიოლნი | 26 | 9 | 4 | 13 | 41:50 | 31 |
| ვოლფსბურგი | 26 | 8 | 5 | 13 | 31:39 | 29 |
| კარლსრუე | 26 | 7 | 8 | 11 | 37:47 | 29 |
| მიუნხენი | 26 | 7 | 7 | 12 | 32:45 | 28 |
| გლადბახი | 26 | 6 | 9 | 11 | 42:47 | 27 |
| ჰამბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 29:38 | 27 |
| არმინია | 26 | 7 | 4 | 15 | 33:43 | 25 |

### მეორე ბუნდესლიგა

22-ე ტური. ფრაიბურგი — კარლ ცაისი 1:1; ვატენშაიდი — უნტერჰახინგი 2:0; ფორტუნა — ზანქტ პაული 1:1; კოტბუსი — ურდინგენი 2:2; დიუსელდორფი — ფიურტი 1:0; ლაიფციგი — გიუტერსლო 1:0; ცვიკაუ — მაინცი 0:0; ნიურნბერგი — აინტრახტი დღეს, კიკერსი — მეპენი კი 15 აპრილს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 22 | 14 | 2 | 6 | 34:20 | 44 |
| აინტრახტი | 21 | 11 | 7 | 3 | 32:20 | 40 |
| ფრაიბურგი | 22 | 12 | 3 | 7 | 38:27 | 39 |
| გიუტერსლო | 22 | 8 | 10 | 4 | 25:19 | 34 |
| ურდინგენი | 23 | 9 | 7 | 7 | 24:22 | 34 |
| ზანქტ პაული | 22 | 8 | 9 | 5 | 26:23 | 33 |
| დიუსელდორ. | 22 | 8 | 7 | 7 | 36:33 | 31 |
| უნტერჰახინგი | 22 | 7 | 8 | 7 | 27:20 | 29 |
| კოტბუსი | 22 | 6 | 11 | 5 | 24:21 | 29 |
| ფორტუნა | 22 | 6 | 10 | 6 | 30:32 | 28 |
| ფიურტი | 22 | 7 | 7 | 8 | 20:23 | 28 |
| ლაიფციგი | 22 | 8 | 4 | 10 | 24:37 | 28 |
| მაინცი | 22 | 5 | 11 | 6 | 35:34 | 26 |
| ვატენშაიდი | 21 | 6 | 6 | 9 | 23:24 | 24 |
| კიკერსი | 21 | 6 | 4 | 11 | 30:36 | 22 |
| კარლ ცაისი | 22 | 5 | 6 | 11 | 22:36 | 21 |
| მეპენი | 20 | 3 | 8 | 9 | 25:33 | 17 |
| ცვიკაუ | 22 | 3 | 8 | 11 | 15:30 | 17 |

## პორტუგალია

25-ე ტური. ბელენენსეში — კამპომაიორენსე 0:1; ამადორა — აკადემიკა 1:0; მარიტიმუ — ბრაგა 1:1; სალგეიროში — ფარენსე 4:1; ლეცა — სეტუბალი 1:3; ბენფიკა — შავეში 3:1; ბოავიშტა — გიმარაეში 0:1; პორტუ — რიუ ავე 2:0; ვარზიმი — სპორტინგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 18 | 5 | 2 | 53:24 | 59 |
| ბენფიკა | 25 | 14 | 7 | 4 | 43:22 | 49 |
| გიმარაეში | 25 | 13 | 5 | 7 | 34:19 | 44 |
| ამადორა | 25 | 11 | 7 | 7 | 34:28 | 40 |
| სპორტინგი | 25 | 10 | 9 | 6 | 29:22 | 39 |
| ბოავიშტა | 25 | 9 | 10 | 6 | 33:24 | 37 |
| სალგეიროში | 25 | 10 | 7 | 8 | 36:28 | 37 |
| მარიტიმუ | 25 | 10 | 7 | 8 | 29:26 | 37 |
| რიუ ავე | 25 | 9 | 8 | 8 | 31:30 | 35 |
| კამპომაიორ. | 25 | 9 | 6 | 10 | 37:39 | 33 |
| ლეცა | 25 | 9 | 4 | 12 | 24:36 | 31 |
| ფარენსე | 25 | 6 | 12 | 7 | 33:36 | 30 |
| ბრაგა | 25 | 6 | 10 | 9 | 32:35 | 28 |
| სეტუბალი | 25 | 7 | 7 | 11 | 27:30 | 28 |
| ვარზიმი | 25 | 5 | 10 | 10 | 21:34 | 25 |
| აკადემიკა | 25 | 5 | 9 | 11 | 18:30 | 24 |
| შავეში | 25 | 5 | 3 | 17 | 22:49 | 18 |
| ბელენენსეში | 25 | 2 | 8 | 15 | 14:38 | 14 |

## ბელგია

26-ე ტური. სენტ ტრუიდენი — მუსკრონი 1:0; ლომელი — შარლერუა 2:1; ანდერლეხტი — ეკერენი 4:0; ბევერენი — მოლენბეკი 1:0; ვესტერლო — გენკი 0:2; ანტვერპენი — გენტი 0:0; ბრიუგე — სტანდარდი 0:0; აალსტი — ლოკერენი 1:5; ჰარელბეკი — ლიერსი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 26 | 21 | 4 | 1 | 60:21 | 67 |
| გენკი | 26 | 17 | 4 | 5 | 57:29 | 55 |
| ეკერენი | 26 | 14 | 5 | 7 | 48:36 | 47 |
| ჰარელბეკი | 26 | 12 | 9 | 5 | 43:26 | 45 |
| ანდერლეხტი | 26 | 12 | 6 | 8 | 42:30 | 42 |
| ლოკერენი | 26 | 13 | 1 | 12 | 53:53 | 40 |
| ლიერსი | 26 | 11 | 6 | 9 | 41:34 | 39 |
| ლომელი | 26 | 10 | 6 | 10 | 40:39 | 36 |
| სტანდარდი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:34 | 33 |
| გენტი | 26 | 7 | 11 | 8 | 36:36 | 32 |
| სტ. ტრუიდენი | 26 | 8 | 8 | 10 | 24:29 | 32 |
| ვესტერლო | 26 | 7 | 9 | 10 | 37:43 | 30 |
| შარლერუა | 26 | 8 | 6 | 12 | 37:49 | 30 |
| მუსკრონი | 26 | 7 | 7 | 12 | 29:38 | 28 |
| აალსტი | 26 | 7 | 7 | 12 | 37:48 | 28 |
| ბევერენი | 26 | 5 | 8 | 13 | 23:40 | 23 |
| მოლენბეკი | 26 | 5 | 4 | 17 | 27:63 | 19 |
| ანტვერპენი | 26 | 4 | 6 | 16 | 26:48 | 18 |

## შოტლანდია

28-ე ტური. დანფერმლაინი — აბერდინი 3:3; ჰარტსი — კილმარნოკი 1:1; სენტ ჯონსტონი — ჰიბერნიანი 1:1; მოზერველი — რეინჯერსი 2:1; სელტიკი — დანდი იუნაიტედი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 28 | 18 | 5 | 5 | 54:19 | 59 |
| ჰარტსი | 28 | 17 | 6 | 5 | 62:37 | 57 |
| რეინჯერსი | 28 | 15 | 9 | 4 | 61:32 | 54 |
| კილმარნოკი | 28 | 9 | 9 | 10 | 30:46 | 36 |
| სტ. ჯონსტონი | 28 | 9 | 7 | 12 | 29:35 | 34 |
| დანდი იუნ. | 28 | 7 | 11 | 10 | 38:41 | 32 |
| აბერდინი | 28 | 7 | 9 | 12 | 32:45 | 30 |
| დანფერმლაინი | 28 | 7 | 9 | 12 | 34:55 | 30 |
| მოზერველი | 28 | 8 | 5 | 15 | 38:49 | 29 |
| ჰიბერნიანი | 28 | 4 | 8 | 16 | 31:50 | 20 |

## ავსტრია

25-ე ტური. აუსტრია — ადმირა ვაკერი 1:2; ტიროლი — ლინცი 2:1; ლუსტენაუ — რაპიდი 1:1; რიდი — ზალცბურგი 3:1; შტურმი — გრაცი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 25 | 18 | 6 | 1 | 58:17 | 60 |
| გრაცი | 25 | 13 | 5 | 7 | 39:23 | 44 |
| რაპიდი | 25 | 11 | 6 | 8 | 29:28 | 39 |
| ზალცბურგი | 25 | 10 | 5 | 10 | 34:28 | 35 |
| ლინცი | 25 | 10 | 4 | 11 | 42:42 | 34 |
| აუსტრია | 25 | 9 | 6 | 10 | 33:35 | 33 |
| ტიროლი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:37 | 33 |
| რიდი | 25 | 8 | 7 | 10 | 29:36 | 31 |
| ლუსტენაუ | 25 | 4 | 10 | 11 | 25:39 | 22 |
| ადმირა ვაკერი | 25 | 4 | 3 | 18 | 22:60 | 15 |

### ფეხბურთის რუკასთან



უელსის ნაკრების მწვრთნელმა ბობი გოლდმა როგორც იქნა, თანაშემწე ამოირჩია — წარსულში უელსის ნაკრების ნახევარმცველი გრეჰემ უილამსი, რომელსაც 1960-69 წლებში ქვეყნის პირველ გუნდში 26-ჯერ უთამაშია, ამ ბოლო დროს კი აფრიკაში მოღვაწეობდა. 59 წლის მეორე მწვრთნელის დებიუტი 25 მარტს შედგება, მაშინ, როცა უელსი ამხანაგურად გაეჯიბრება იამაიკას.

ნიგერიელმა „სუპერ არწივებმა" საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშისთვის პრემიების გაზრდა მოითხოვეს. ოთხი წლის წინ, აშშ-ში, მათ თითო შეხვედრისთვის 5 ათასი დოლარი ეძლეოდათ, ახლა კი თითქმის სამმაგი მოინდომეს. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების სახელით მათ უჩე ოკეჩუკვუ შეხვდება და პრემიალურ თანხებზეც შეთანხმდებიან.

ხორვატ საფეხბურთო მიმომხილველ პერო ლივაიჩს, მეორე დივიზიონის ერთ-ერთი შეხვედრის გარჩევის შემდეგ დამარცხებულთა გულშემატკივრები შინ მიუცვივდნენ და ლაზათიანად მიბეგვეს, აქაოდა, მარცხის მიზეზები არაობიექტურად გააშუქეო.

ბრაზილიელმა ედუ დოს სანტოსმა როგორც იქნა აისრულა წადილი და ესპანური „ვალიადოლიდისგან" განთავისუფლების წერილი მიიღო. ქვეყნის ნაკრებში 26-ჯერ ნათამაშევ ედუს, პრიმერა დივიზიონის გუნდის დატოვება ჯერ კიდევ ოქტომბერში სურდა, მაგრამ მაშინ „ვალიადოლიდის" ხელმძღვანელობამ ბრაზილიელის გაშვება არ ინდომა, ახლა კი აზრი შეიცვალა. მოთამაშით რამდენიმე არგენტინული და ბრაზილიური გუნდია დაინტერესებული და თუ რომელიმეში გადასვლა გადაწყდა, ედუს ესპანელთათვის 466 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს, ხოლო თუ ახალი კლუბი ესპანური გამოდგა, მაშინ ზემოხსენებულ თანხას იმდენივეს დაუმატებს.

ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკართიმ 25 მარტს ჩეხეთთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ გუნდში რვა ახალწვეულს უხმო, რომელთაც აქამდე მხოლოდ ირლანდიის ახალგაზრდულ და იუნიორთა ნაკრებების ღირსება დაუცავთ. მაკართის 23 რჩეულს შორის არაა გუნდის ვეტერანი კაპიტანი ენდი თაუნსენდი. „მიდლსბროს" 34 წლის ნახევარმცველის არყოფნამ ირლანდიელებს კაპიტნის არჩევის პრობლემაც შეუქმნა. გუნდს რაც შეეხება, მისი შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — შეი გივენი (ნიუკასლი), ალან კელი (შეფილდ იუნაიტედი); მცველები — სტეფან კარი (ტოტენჰემი), ჯეფ კინა (ბლეკბერნი), კენი კენინგემი (უიმბლდონი), გარი ბრინი (ქოვენთრი), იან ჰარტე (ლიდსი), ფილ ჰენდრი (რექსჰემი), ლი კერსლი (დერბი); ნახევარმცველები — გრემ კევენა (სტოკ სიტი), მარკ კინსელა (ჩარლტონი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი), გარეტ ფარელი (ევერტონი), გარი კელი (ლიდსი), რორი დელაპი (დერბი); თავდამსხმელები — ნილ ქუინი (სანდერლენდი), დევიდ კონოლი (ფეიენოორდი), რობი კინი (ვულვერჰემპტონი), მარკ კენედი (ლივერპული), დემიენ დაფი (ბლეკბერნი), კევინ კილბეინი (ვესტ ბრომვიჩი).

ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა შესაძლოა მწვანე კონტინენტის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი აღარ გააფორმოს. ვენეიბლზის ხელმძღვანელობით ავსტრალიის ნაკრები აშკარად გაძლიერდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის საგზურამდე ერთი ნაბიჯილა დააკლდა. „ჩელსის" და „ტოტენჰემის" ყოფილმა ფეხბურთელმა, ასევე ინგლისის ნაკრებში ორჯერ ნათამაშევმა ვენეიბლზმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა, სადაც სავარაუდოდ „კრისტალ პალასს" ჩაუდგება სათავეში. ავსტრალიის ნაკრებამდე ვენეიბლზი „ქუინზ პარკ რეინჯერსს", „ბარსელონას", „ტოტენჰემს" და ინგლისის ნაკრებს წვრთნიდა, გადაკარგულში კი ევროპის ბოლო ჩემპიონატის შემდეგ წავიდა.

უელსელმა ნევილ საუთჰოლმა ჩვიდმეტწლიანი ერთგულების შემდეგ „ევერტონთან" განშორება გადაწყვიტა. ორმოცს მიტანებული მეკარე, რომელსაც ქართველებმა ევროპის ბოლო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ექვსი გოლი გაუტანეს, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „სტოკ სიტიში" გადავიდა მოთამაშე მწვრთნელის თანამდებობაზე. თასების თასის 1985 წლის გამარჯვებულ საუთჰოლს უელსის ნაკრებში 90-ზე მეტი შეხვედრა უთამაშია.

## ჰოლანდია

**ჰერენვენი 1:3 ტილბურგი**

0:1 კოლკა (7), 1:1 ნისტელროი (29), 1:2 კოლკა (87), 1:3 [illegible] (90)

**როდა 0:0 სიტარდი**

**აიაქსი 6:1 ვოლენდამი**

1:0 ლაუდრუპი (32), 2:0 გორი (35), 3:0 რუდი (51), 4:0 ფ. დე ბური (503), 5:0 გორი (55), 6:0 სიბონი (65), 6:1 ლიიფლანგი (83)

**ნაიმეგენი 2:1 მაასტრიხტი**

1:0 პოტპუიზენი (19), 2:0 ტუმანი (31), 2:1 ჯერი დე იონგი (783)

**ბრედა 1:0 ტვენტე**

1:0 სტიუარტი (13)

**უტრეხტი 3:0 სპარტა**

1:0 მოლსი (37), 2:0 ჯონი დე იონგი (41), 3:0 მოლსი (85)

**ვალვაიკი 0:1 ეინდჰოვენი**

0:1 კოკუ (23)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 24 | 21 | 2 | 1 | 77:11 | 65 |
| ეინდჰოვენი | 24 | 15 | 8 | 1 | 65:27 | 53 |
| ფეიენოორდი | 24 | 13 | 6 | 5 | 42:28 | 45 |
| ჰერენვენი | 25 | 13 | 5 | 7 | 41:34 | 44 |
| ვიტესი | 23 | 12 | 6 | 5 | 53:37 | 42 |
| ტილბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 42:39 | 37 |
| სიტარდი | 25 | 11 | 4 | 10 | 35:40 | 37 |
| ბრედა | 24 | 10 | 4 | 10 | 30:28 | 34 |
| ნაიმეგენი | 25 | 10 | 1 | 14 | 29:47 | 31 |
| ტვენტე | 24 | 7 | 9 | 8 | 27:27 | 30 |
| უტრეხტი | 24 | 9 | 3 | 12 | 45:51 | 30 |
| გრაფსხაპი | 25 | 7 | 8 | 10 | 33:28 | 29 |
| სპარტა | 25 | 7 | 8 | 10 | 42:46 | 29 |
| როდა | 25 | 7 | 6 | 12 | 34:35 | 27 |
| გრონინგენი | 25 | 6 | 8 | 11 | 32:43 | 26 |
| მაასტრიხტი | 25 | 6 | 4 | 15 | 24:57 | 22 |
| ვალვაიკი | 25 | 4 | 6 | 15 | 27:53 | 18 |
| ვოლენდამი | 25 | 3 | 6 | 16 | 21:68 | 15 |

## შვეიცარია

მე-3 ტური. არაუ — ლუცერნი 1:1; სერვეტი — სიონი 2:1; სენტ გალენი — ლოზანა 1:1; ციურიხი — გრასჰოპერი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 29 |
| სერვეტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 27 |
| ლოზანა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 23 |
| არაუ | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 22 |
| სენტ გალენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 20 |
| ციურიხი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 19 |
| ლუცერნი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 17 |
| სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 16 |

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მექვევლია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29